

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია

2018 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს 2018 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური

2018 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა 44 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 10 017 260 ლარს. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს: 22 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას საერთო ღირებულებით 2 630 116 ლარი, ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 12 სოფელში შიდა გზების მოასფალტებას საერთო ღირებულებით 4 171 674 ლარი და ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტში 10 კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტს საერთო ღირებულებით 3 176 848 ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

სოფელ ყარაჯალარში გზების მოასფალტება	234 107	შპს „არსაკიძე 2000“	დასრულდა
სოფელ ყარათაკლიაში გზების მოასფალტება	202 181	შპს „არსაკიძე 2000“	დასრულდა
სოფელ ქესალოში გზების მოასფალტება	385 105	შპს „სკინჩი“	დასრულდა
სოფელ ნაზარლოში გზების მოასფალტება	272 040	შპს „სკინჩი“	დასრულდა
სოფელ ვახტანგისში გზების მოასფალტება	348 450	შპს „სკინჩი“	დასრულდა
სოფელ ჯანდარაში გზების მოასფალტება	351 309	შპს „სკინჩი“	დასრულდა
სოფელ სართიჭალაში გზების მოასფალტება	341 912	შპს „არსაკიძე 2000“	დასრულდა
სოფელ ალთაკლიაში გზების მოასფალტება	181 501	შპს „არსაკიძე 2000“	დასრულდა
ქ. გარდაბანში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	235 965	შპს „NEW GEORGIA“	მიმდინარეობს
სოფელ საცხენისში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	123 914	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	70 951	შპს „BUILD TERRITORY“	მიმდინარეობს
სოფელ ნორიოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	43 380	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ ზემო თელეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	338 193	შპს „BUILD TERRITORY“	მიმდინარეობს
სოფელ კრწანისში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	25 466	შპს „BUILD TERRITORY“	მიმდინარეობს
სოფელ ქესალოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	20 434	შპს „დიოკნისი“	დასრულდა
სოფელ გამარჯვებაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	20 978	შპს „დიოკნისი“	დასრულდა
სოფელ ნაგებში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	55 717	შპს „დიოკნისი“	დასრულდა

სოფელ ყარაჯალარში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	79 407	შპს „დიოკნისი“	დასრულდა
სოფელ ვახტანგისში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა და წყალმომარაგების რეაბილიტაცია	39 141	შპს „დიოკნისი“	დასრულდა
სოფელ ნაზარლოში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	20 703	შპს „დიოკნისი“	დასრულდა
სოფელ გამარჯვებაში #2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	240 142	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ მარტყოფში #1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	115 591	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ მარტყოფში #2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	234 666	შპს „BUILD TERRITORY“	მიმდინარეობს
სოფელ ახალ სამგორში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	141 961	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ სართიჭალაში #1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	152 871	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
სოფელ სართიჭალაში #2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	142 540	შპს „BUILD TERRITORY“	დასრულდა
ქ. გარდაბანში N1, N2, N3, N4 და N5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	764 010	შპს „BUILD TERRITORY“	მიმდინარეობს
სოფელ მუხრანთელეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	324699	შპს "იბერი"	დასრულდა
კალინინოს ტერიტორიულ ორგანოს სოფელ ბირლიკში მინი-მოედნის მშენებლობა	97545	შპს "პე-ბე"	დასრულდა
სოფელ ნორიოში (ქვიშიანში) შიდა გზების მოხრეშვა	38771	შპს "გია კონსტრაქშენ"	დასრულდა
ქ. გარდაბანში მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების მოწყობა	795998	შპს "ELE"	მიმდინარეობს
სოფელ ახალ სამგორში მინი-მოედნის მშენებლობა	81312	შპს "პე-ბე"	მიმდინარეობს
სოფელ ნაგებში და სოფელ კალინინოში გზების მოასფალტება	683588	შპს "იბერი"	მიმდინარეობს
ქ. გარდაბანში მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების გადახურვა-რეაბილიტაცია	185581	შპს "ბერმუხა"	მიმდინარეობს
სოფელ თელეთში სპორტული მოედნის მოწყობა	142904	შპს "კვადრელი"	მიმდინარეობს
ქალაქ გარდაბანში ლელაშხას დასახლებაში და სოფელ კრწანისისი საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	152507	შპს "დარია +"	მიმდინარეობს

მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება შემდეგი სამუშაოების:

სოფელ თელეთში გარე-განათების მოწყობა	93250	შპს „მური“	
--------------------------------------	-------	------------	--

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 3 პროექტის განხორციელება:

სოფელ მარტყოფში, აკრიანის დასახლებაში (ლოჭინის ხეობაში) მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები	333 497	შპს „გიკო“	დასრულდა
სოფელ ლემშენიერაში სასმელი წყლის ჭაბურღილის, მაგისტრალური და შიდა მილსადენის, 500მ3 რეზერვუარის მოწყობა და გამრიცხველიანება	1149888	ფ/წ "მარია"	მიმდინარეობს
ქ. გარდაბანში შიდა გზების მოასფალტება	808012	ფ/წ "მარია"	მიმდინარეობს

აქვე მოგახსენებთ, რომ 2017 წელს დაიწყო მრავალწლიანი სამშენებლო პროექტის I ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს სოფელ ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში, ახალ სამგორში და ვაზიანში წყლის მომარაგებას. ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაცია მოითხოვდა კორექტირება, საჭირო გახდა სამშენებლო სამუშაოების დროებით შეჩერება, რაზეც მოგვმართა შპს „საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებულმა კომპანიამ“ და მოხდა I ეტაპის დარჩენილი სამუშაოების კორექტირება. საზედამხედველო კომპანიის ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ გაგრძელდება I ეტაპის სამუშაოები. აქვე განგიმარტავთ, რომ დაიწყო პროექტის II ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც განახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი და მთავრობის განკარგულებით მსოფლიო ბანკმა გამოყო **17 000 000** ლარი. ამ დროისთვის II ეტაპის სამუშაოების მშენებლობაზე აღებულია ნებართვა საქართველოს ეკონომიკისა და დამდგრადი განვითარების სამინისტროდან და საპროექტო დოკუმენტაციას ჩაუტარდა ექსპერტიზა, რაზეც 2019 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდება სამშენებლო ელ.ტენდერი.

ასევე ჩვენი სამსახურის მიერ შესწავლილი და მომზადებული იქნა **350** სამშენებლო ნებართვა და მუნიციპალიტეტში შემოტანილმა მოსაკრებელმა შეადგინა **70 920** ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

გარდაზნის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის იანვრიდან დღემდე 3995 მოქალაქეს 1 529119 ლარის ფინანსური დახმარება გაეწია.

- ✚ **ერთჯერადი-მატერიალური დახმარებისთვის** - 2414 მოქალაქეზე დაიხარჯა 516,358 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსურ დახმარებას:
 - ✚ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის,
 - ✚ სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებისთვის,
 - ✚ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის,
 - ✚ მარტოხელა მშობლებისთვის,
 - ✚ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეებისთვის,
 - ✚ ერთ წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველყოფისთვის, ბენეფიციართა იმ კატეგორიაზე, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობით ოჯახი განიცდის უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირს;

- ✚ **სამედიცინო (სამკურნალო - საოპერაციო) მომსახურებისა და კლინიკაში არსებული დავალიანებისთვის** - დახარჯულმა თანხამ 764015 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 983 მოქალაქეს. ქვეპროგრამით სარგებლობენ:
 - ✚ გარდაზნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეები (სარეიტინგო ქულა არაუმეტეს 150 000-სა),
 - ✚ ონკოლოგიური ავადმყოფები, რომელთაც სამედიცინო მანიპულაციებისთვის საჭირო გამოკვლევები, სამკურნალო და სტაციონალური მომსახურება უტარდებათ;

- ✚ აგრეთვე ბენეფიციართა ის კატეგორია, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდიან უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირს და საჭიროებს სამედიცინო, სამკურნალო და სტაციონალური მომსახურება. აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო/დაყოვნებულ სამედიცინო ოპერაციას.

- ✚ **დიალეზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარება** - გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს დიალეზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ყოველთვიურად ანაზღაურების პროგრამა, 2018 წელს ჯამში ამ მომსახურებისთვის 52 ბენეფიციარის მომსახურებისთვის 82 050 ლარი გაიცა.

- ✚ **C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართვამდე სამკურნალო ხარჯების ანაზღაურება** - C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართვამდე 42 მოქალაქის სამკურნალო ხარჯებისთვის, დაიხარჯა 8,720 ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებს C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას.

- ✚ **დედ-მამით ობოლთა (18 წლამდე) დახმარება** - მუნიციპალიტეტში აგრეთვე მოქმედებს დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა, რომელიც წელიწადში ორჯერ დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. პროგრამაში ჩართულ 10 ბენეფიციარს ამ ეტაპზე მიღებული აქვთ 10,000 ლარის ფინანსური დახმარება.

- ✚ **შშმ პირთა რენტეგრაცია საზოგადოებაში და სოციალური დაცვა** - 2018 წელს, შშმ პირების ფინანსურ მხარდაჭერისა და საზოგადოებაში მათი რენტეგრაციისთვის გაცემულმა თანხამ 55,916 ლარი შეადგინა. დახმარება მიიღო 190-მა ბენეფიციარმა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბენეფიციარების 18წლამდე, აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარების 18წ-მდე, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების 18წ-მდე, ეტლს მიჯაჭვულების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების, მეტყველება და სმენადაქვეითებულების ფინანსურ დახმარებას;

- ✚ **სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რენტეგრირებულ ბავშვთა დახმარება** - გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბიოლოგიურ ოჯახში რენტეგრირებული ბავშვების ფინანსური დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში, 4 ბენეფიციარს ყოველთვიურად 100 ლარი ერიცხება. ჯამურად მუნიციპალიტეტის მიერ რენტეგრირებული ბავშვებისთვის გადარიცხულმა თანხამ 3,800 ლარი შეადგინა.

- ✚ **სტუდენტების დახმარება** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, სოციალურად დაუცველ და წარმატებულ 8 სტუდენტს მგზავრობის

ღირებულების ხარჯები აუნაზღაურა. სულ წლის განმავლობაში სტუდენტთა მგზავრობის ხარჯებისთვის 3,000 ლარი გაიკა.

✚ **ხანდაზმულთა დახმარება** - ასი და ას წელს გადაცილებულ 10 ხანდაზმულისთვის პროგრამის ფარგლებში 3000 ლარის მატერიალური დახმარება გაიკა. პროგრამის მიზანია ას და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური დახმარება წელიწადში ერთხელ.

✚ **ომში დაღუპულთა და ვეტერანთა სოც.დაცვა** - სოციალური პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა სოციალურ უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც 56-მა ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტიდან 25,450 ლარის ფინანსური დახმარება მიიღო.

მიმდინარე წელს

- ✓ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს - 500 (ხუთასი), ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს დახმარება გაეწიათ - 300 ლარის ოდენობით (9 მაისი);
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებზე გაიკა 500 ლარი (17 ოქტომბერი, ვეტერანთა დღე);
- ✓ ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებული პირებზე (გარდა მეორე სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისა, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 –ს) დახმარება გაიკა 250 ლარის ოდენობით;
- ✓ შშმ პირ ვეტერანებს დახმარება გაეწიათ 500 ლარის ოდენობით (17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღე);

✚ **უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარება (ბინის ქირა)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილი და დაზარალებული 8 მოქალაქისთვის ბინის ქირისა და ზარალის ანაზღაურებისთვის ჯამში გაცემულმა თანხამ 17 700 ლარი შეადგინა.

✚ **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება** - სოციალური პროგრამის ერთ-ერთი ქვეპუნქტაგანია მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას. 2018 წლის იანვრიდან დღემდე მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის დახარჯულმა თანხამ 7600 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 18 ბენეფიციარს.

✚ **ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი (წითელი ჯვარი)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია ორგანიზაცია „წითელ ჯვარს“ თანადაფინანსებას ახორციელებს, რაც გულისხმობს სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის უფასო

სამედიცინო გამოკვლევებსა და პირველადი მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ამ ეტაპზე აღნიშნული მომსახურებისთვის დახარჯულია 31 510 ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ასევე ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის გეგმა	მათ შორის		2018 წლის ფაქტი	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
		შემოსავლები	27,291.7		2,485.1	24,806.6
გადასახადები	21,600.0	0.0	21,600.0	22,867.0	0.0	22,867.0
გრანტები	2,485.1	2,485.1	0.0	2,343.0	2,343.0	0.0
სხვა შემოსავლები	3,206.6	0.0	3,206.6	3,394.0	0.0	3,394.0

ხარჯები	15,944.8	257.5	15,687.3	14,817.1	209.1	14,608.0
შრომის ანაზღაურება	3,790.0	0.0	3,790.0	3,712.4	0.0	3,712.4
საქონელი და მომსახურება	2,862.4	45.0	2,817.4	2,588.4	11.5	2,576.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	85.0	0.0	85.0	81.8	0.0	81.8
სუბსიდიები	6,980.2	207.5	6,772.7	6,554.7	197.6	6,357.1
გრანტები	45.0	0.0	45.0	45.0	0.0	45.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,746.5	3.1	1,743.4	1,571.7	0.0	1,571.7
სხვა ხარჯები	435.7	1.9	433.8	263.1	0.0	263.1
საოპერაციო სალდო	11,346.8	2,227.6	9,119.3	13,786.8	2,133.8	11,653.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	19,964.8	2,529.8	17,435.0	9,295.5	1,173.4	8,122.1
ზრდა	20,514.8	2,529.8	17,985.0	9,396.4	1,173.4	8,222.9
კლება	550.0	0.0	550.0	100.8	0.0	100.8
მოლიანი სალდო	-8,618.0	-302.2	-8,315.7	4,491.3	960.4	3,530.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-8,733.0	-302.2	-8,430.7	4,380.4	960.4	3,420.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	4,380.4	960.4	3,420.0
კლება	8,733.0	302.2	8,430.7	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-115.0	0.0	-115.0	-110.9	0.0	-110.9
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	115.0	0.0	115.0	110.9	0.0	110.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 8,985.9 ათასი ლარი.

2018 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 13,368.6 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა


(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	27,841.7	28,704.8	103.1%
შემოსავლები	27,291.7	28,603.9	104.8%
არაფინანსური აქტივების კლება	550.0	100.8	18.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
გადასახდელები	36,574.7	24,324.3	66.5%
ხარჯები	15,944.8	14,817.1	92.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	20,514.8	9,396.4	45.8%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	115.0	110.9	96.4%
ნაშთის ცვლილება	-8,733.0	4,380.4	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ


გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 27,841.7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28,704.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 103.1%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:



I შემოსავლები

გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 27,291.7 ათასი ლარი ფაქტიურად 28,603.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 104.8% და მთლიანი შემოსულობების 99.6% შეადგინა.



I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22,867.0 ათასი ლარი. გეგმიურ მაჩვენებელთან 21,600.0 ლართან შედარებით 1,267.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საშემოსავლო გადასახადი - 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 1,500.0 ათასი ლარის მიღება, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 1,981.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 132.1%-ია.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 20,885.3 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 20,100.0 ათასი ლარის 103.9%-ს შეადგენს, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 13,201.1 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 94.7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე - 35.1 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1,376.1 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 6,178.4 ათასი ლარი.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 2,343.0 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 260.0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 2,083.0 ათასი ლარი.

გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 2,485.1 ათასი ლარის ოდენობის გრანტის მიღება. შესაბამისად გრანტების ფაქტიურმა შესრულებამ გეგმასთან შედარებით შეადგინა 94.3%.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 3,206.6 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 3,394.0 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 105.8% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 945.1 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 435.9 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 407.9 ათასი ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 28.0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 123.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 69.8 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 26.3 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების მუხლიდან** მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 27.0 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 1,848.3 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 41.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 550.0 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 100.8 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 18.3%). მათ შორის: 51.1 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 49.8 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთის სახით ირიცხებოდა 8,985.9 ათასი ლარი, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოსათვის 13,368.6 ათასი ლარი. ნაშთის ცვლილებამ წლის განმავლობაში შეადგინა 4,380.4 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2018 წელს გადასახდელების საკასო შესრულების 66.5%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 36,574.7 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24,324.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66.5%-ია. მათ შორის:


ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15,944.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 14,817.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.9%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 60.9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 20,514.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9,396.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 45.8% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 38.6%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 115.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 110.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.4%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.5%-ია.

2018 წლის ასიგნებების სტრუქტურა

საკასო ხარჯი



გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3,790.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3,712.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.0%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 25.0%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 2,862.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2,588.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 17.5%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 382.4 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 27.4 ათასი ლარი;
- ✓ ოფისის ხარჯები - 251.5 ათასი ლარი;
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 31.0 ათასი ლარი;

- ✓ რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 34.3 ათასი ლარი;
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 468.0 ათასი ლარი;
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 1,393.8 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 85.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 81.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.2%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.6%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6,980.2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6,554.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 44.2%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 175.0 ათასი ლარი;
- გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 112.0 ათასი ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 64.7 ათასი ლარი;
- მუნიციპალური შენობების მოვლა-პატრონობა - 385.0 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“ – 714.6 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ – 3,298.5 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“ – 394.8 ათასი ლარი;
- ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - გარდაბნის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი“ – 71.1 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ – 51.3 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ – 122.1 ათასი ლარი;
- ააიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ – 108.0 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“ – 51.2 ათასი ლარი;

- ააიპ „მეგობრობის ცენტრი“ – 102.2 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 304.4 ათასი ლარი;
- ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ – 246.4 ათასი ლარი;
- მოსწავლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის ხარჯები - 172.2 ათასი ლარი;
- ააიპ „ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის“ – 181.1 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 45.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 45.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,746.5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,571.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 764.0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსება - 31.5 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 516.6 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 2.6 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 82.1 ათასი ლარი;
- C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარება - 8.7 ათასი ლარი;
- დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება - 10.0 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 2.9 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მემორთა ოჯახების სოციალური დახმარება - 25.5 ათასი ლარი;
- ხანდაზმულებისა და შშმ პირების სოციალური დაცვა - 58.9 ათასი ლარი;

- სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა - 3.8 ათასი ლარი;
- სპორტსმენებისა და სტუდენტების მატერიალური დახმარება - 3.0 ათასი ლარი.


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 435.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდი 140.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 263.1 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდიდან 55.3 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების“ მთლიანმა შესრულებამ გეგმის 60.4% შეადგინა, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 1.8% შეადგინა. გამგებლის/მერის სარეზერვო ფონდის საკასო შესრულება გეგმის 39.5%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.4%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (წარმატებული სპორტსმენების დაფინანსება) – 42.6 ათასი ლარი;
- წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები - 16.9 ათასი ლარი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 2018 წელს დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა სოციალური დაცვა - 43.0 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 2.5 ათასი ლარი;
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 0.8 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 3.6 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 5.4 ათასი ლარი;



სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 194.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (250.0 ათასი ლარი) 77.9%-ია. მათ შორის: წინა წლებში წარმოქმნილი სესხების ძირი თანხის დაფარვა - 110.9 ათასი ლარი, სესხის მომსახურების პროცენტი - 81.8 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 2.2 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 6,260.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (6,955.2 ათასი ლარი) 90.0%-ია;
- ❖ თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 169.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (209.0 ათასი ლარი) 81.3%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 10,995.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (21,890.0 ათასი ლარი) 50.2%-ია;
- ❖ განათლება - 3,318.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,705.0 ათასი ლარი) 89.6%-ია;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1,469.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,507.5 ათასი ლარი) 97.5%-ია;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2,111.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,308.0 ათასი ლარი) 91.5%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

(ათას ლარებში)

გარდაბნის მუნიციპალიტეტი		2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
ორგ.კოდი	დასახელება	36,574.7	24,324.3	66.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6,955.2	6,260.0	90.0
01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,191.0	1,088.5	91.4
01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა	5,374.2	4,921.3	91.6
01 03	სარეზერვო ფონდი	140.0	55.3	39.5
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი	250.0	194.8	77.9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	209.0	169.9	81.3
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	209.0	169.9	81.3
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	21,890.0	10,995.3	50.2
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,241.0	3,185.3	44.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12,131.0	6,701.1	55.2
03 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,041.4	2,294.8	56.8
03 02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,093.3	779.1	71.3
03 02 04	ბინათმშენებლობა	1,110.0	487.6	43.9

03 02 05	ქლორის შეძენის ხარჯები	10.0	0.0	0.0
03 02 07	საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია- ექსპლოატაცია	30.0	27.1	90.4
03 02 08	ნაპირსამაგრი სამუშაოები	466.5	66.2	14.2
03 02 09	მუნიციპალური შენობების მოვლა-პატრონობა	246.5	228.1	92.6
03 02 10	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	385.0	385.0	100.0
03 02 11	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი"	4,032.7	1,718.6	42.6
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	715.6	714.6	99.9
03 03 01	კეთილმოწყობის ხარჯები	2,500.5	1,102.6	44.1
03 03 02	გამწვანების, ნარგავების მოწყვისა და სკვერების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ხარჯები	1,142.5	376.3	32.9
03 03 03	ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა- რეაბილიტაცია	150.0	0.0	0.0
03 03 04	ექსპერტიზის და საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯი	1,208.0	726.2	60.1
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	17.5	6.3	36.1
04 00	განათლება	3,705.0	3,318.4	89.6
04 01 01	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება"	3,705.0	3,318.4	89.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,507.5	1,469.3	97.5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	509.4	484.4	95.1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	96.6	72.8	75.4
05 01 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	17.5	16.9	96.6
05 01 02 01	ა(ა)იპ- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი"	395.4	394.8	99.8

05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	944.8	931.6	98.6
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	100.5	88.7	88.3
05 02 02	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	844.3	842.9	99.8
05 02 02 01	ტელევიზიის დაფინანსება	30.0	29.9	99.8
05 02 02 02	ააიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - გარდაბნის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი	71.1	71.1	100.0
05 02 02 03	ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	51.3	51.3	100.0
05 02 02 04	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"	123.4	123.4	100.0
05 02 02 05	ააიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"	108.0	108.0	100.0
05 02 02 06	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი"	52.2	51.2	98.1
05 02 02 07	ააიპ "მეგობრობის ცენტრი"	102.6	102.2	99.6
05 02 02 08	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"	305.6	305.6	100.0
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	53.3	53.3	99.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,308.0	2,111.4	91.5
06 01	ააიპ "საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"	260.0	248.6	95.6
06 02	სოციალური პროგრამები	2,048.0	1,862.8	91.0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	835.5	764.0	91.4
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	32.0	31.5	98.5
06 02 03	მოსწავლეების და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის ხარჯები	178.0	172.2	96.7

06 02 04	ააიპ "გარდაზნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის"	200.0	181.1	90.6
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	565.7	516.6	91.3
06 02 06	მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურება	10.0	2.6	26.0
06 02 07	დიალუზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება	84.0	82.1	97.7
06 02 08	C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარება	20.0	8.7	43.6
06 02 09	დედმამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება	14.0	10.0	71.4
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება	7.5	2.9	38.0
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება	28.5	25.5	89.3
06 02 12	ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვა	3.0	3.0	100.0
06 02 13	შშმ პირთა სოციალური დაცვა	56.0	55.9	99.9
06 02 14	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	8.8	3.8	43.2
06 02 15	სპორტსმენებისა და სტუდენტების მატერიალური დახმარება	5.0	3.0	60.0

გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა: საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამშენებო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 215 (ორას თხუთმეტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამაც შეადგინა 13338910.30 (ცამეტი მილიონ სამას ოცდათვრამეტი ათას ცხრაას ათი ლარი და 30 თეთრი) ლარი.

2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოყოფილი იყო 19447839 (ცხრამეტი მილიონ ოთხას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდაცხრამეტი) ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 2575576 (ორი მილიონ ხუტას სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესასრულებლად). გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადებულია 122 (ას ოცდაორი) ელექტრონული ტენდერი. 74 (სამოცდაათოთხმეტი) ელექტრონული ტენდერზე დაიდო ხელშეკრულება ღირებულებით 12145009.79 (თორმეტი მილიონ ას ორმოცდახუთი ათას ცხრა ლარი და 79 თეთრი) ლარი. ასევე გამოცხადებული ტენდერებიდან უარყოფითი შედეგით დასრულდა 16 (თექვსმეტი), სადაც პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია. არ შედგა 26 (ოცდაექვსი) ტენდერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია და შეწყდა 6 (ექვსი) ტენდერი, აღნიშნულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა ცვლილების შეტანა.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 129 (ას ოცდაცხრა) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საიდანაც 40 (ორმოცი) ხელშეკრულება იქნა გაფორმებული შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 889751.75 (რვაას ოთხმოცდაცხრა ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი ლარი და 75 თეთრი) ლარი. 3 (სამი) ხელშეკრულება - ექსკლუზიური უფლებამოსილებაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 156 650 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი. 70 (სამოცდაათი) ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვით, სახელშეკრულებო ღირებულება 112621.80 (ას თორმეტი ათას ექვსას ოცდაერთი ლარი და 80 თეთრი) ლარი. 6 (ექვსი) ხელშეკრულება - ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახელები სახელშეკრულებო ღირებულებით 17953.90 (ჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი. 10 (ათი) ხელშეკრულება - წარმომადგენლობითი ხარჯები 16923.06 (თექვსმეტი ათას ცხრაას ოცდასამი ლარი და 06 თეთრი) ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ტენდერებში გამოყოფილი ძირითადი თანხიდან 13726690 (ცამეტი მილიონ შვიდას ოცდაექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაათი) ლარიდან ეკონომია დარჩა 1581680.21 (მილიონ ხუთას ოთხმოცდაერთი ათას ექვსას ოთხმოცი ლარი და 21 თეთრი) ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვები ხორცილდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, გამარტივებული შეყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ

გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.

ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური

მიმდინარე წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 33 უძრავი ქონება:

- სოფელ ლემშენიერაში მდებარე 4 ერთეული საცხოვრებელი კორპუსი.
- სოფელ კალინინოში მდებარე 2124.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სპორტული მოედნის მოსაწყობად
- სოფელ სართიჭალაში მდებარე 3 სასაფლაო.
- სოფელ ყარაჯალარში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებულ ს/კ №81.06.02.420 სასაფლაოს გაემიჯნა 11 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ფარიხანუმ სოფიევას (თბილისის მაზრის ერობის წევრი ყარაჯალარიდან) მემორიალი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს აპარატს მიემართა ხსენებული მემორიალის გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით.
- ყარათაკლიისა და ალთაკლიის ადმინისტრაციული შენობა.
- სასმელი წყლის ჭაბურღილი სოფელ თელეთში.
- საფეხმავლო ბილიკის მოსაწყობად 65.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ. გარდაბანში.
- სოფელ კრწანისში მდებარე ძიუდოს დარბაზი.
- სართიჭალაში 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შემდგომში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს რაიონული სამსახურის ოფისის აშენების მიზნით.
- 5 სპორტული მოედანი, 2 საბავშვო ატრაქციონი.
- სოფელ გამარჯვების ადმინისტრაციული ფართები.
- სოფელ ახალ სამგორში მდებარე 1015 კვ.მ ნაკვეთი, რომელზეც მიმდინარეობს მინი სტადიონის მშენებლობა.
- ქ. გარდაბანში, „თბილწყარო“-ს ტერიტორიაზე არსებული სასაფლაო.

უარი მივიღეთ 3 უძრავი ქონების გადმოცემაზე:

- ნაზარლოში მდებარე ს/კ №81.17.10.485 უძრავი ქონება, რომელზეც იგეგმებოდა ადმინისტრაციული შენობის აშენება.

- სოფელ ლემშვანიერაში მდებარე 3600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმებოდა ადმინისტრაციული შენობის აშენება.

- ქ. გარდაბანი, ლესელიძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 467.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, შემდგომში თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის მოწყობის მიზნით.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მოთხოვნა გადაგზავნილია 15 უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით: ახალსოფლის კულტურის სახლი, ქ. გარდაბანში მდებარე 544 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სპორტული მოედნის მოსაწყობად. **სოფელ ახალ სამგორში მდებარე 1015 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება მინი სტადიონის აშენება.** სოფელ ყარათაკლიაში მდებარე მიწის ნაკვეთი ავტომობილების პარკირების ადგილის, ე.წ „სველი წერტილები“-სა და სასმელი წყლის ონკანის მოწყობის მიზნით, ქ. გარდაბანში, თბილწყაროსა და კაპანახჩის დასახლებაში მდებარე სასაფლაოები (სულ 3 სასაფლაო) და სოფლებში: მარტყოფში, ვაზიანში, ნორიოში, ახალ სამგორსა და ახალსოფელში მდებარე 9 მიწის ნაკვეთი, რომლებიც მოვითხოვეთ ხსენებულ სოფლებში წყალმომარაგების პროექტის II ეტაპის მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაგზავნა დოკუმენტაცია ქ. გარდაბნის შიდა გზების გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქ.№27ა-ს მიმდებარედ არსებული, ს/კ №81.15.13.431 უძრავი ქონების ს/კ №81.15.13.507 და ს/კ №81.15.13.508 უძრავ ქონებად დაყოფა და სოფელ გამარჯვებაში მდებარე ს/კ №81.07.06.443 უძრავი ქონების ს/კ №81.07.06.586 და ს/კ №81.07.06.587 უძრავ ქონებად დაყოფა, შემდგომში №81.15.13.507-924 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და №81.07.06.586-440 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს რაიონული სამსახურის ოფისის აშენების მიზნით.

იგეგმება ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქ.№27ა-ს მიმდებარედ, 924 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№81.15.13.507), სოფელ გამარჯვებაში 440 კვ.მ მიწის ნაკვეთსა (ს/კ№81.07.06.586) და სოფელ სართიჭალაში 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.13.460) სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“- ს რაიონული სამსახურის ოფისის აშენება.

სოფელ კალინინოში მდებარე, ს/კ №81.14.03.680 უძრავი ქონების (ბაგა-ბადი) რეგისტრაციაში განხორციელდა ცვლილება და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში მდებარე, №81.14.03.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1418.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა შენობა-ნაგებობის (ბაგაბადი) დაფიქსირება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 11 აპრილს დადებული №80 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების 2 (ორი) ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანის შესყიდვა;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 07 ივნისს დადებული №120 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 143800 (ას ორმოცდასამი ათას რვაასი) ლარის ღირებულების,

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა ტენდერით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 22 მარტს დადებული №69 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 25 200 (ოცდახუთი ათას ორასი) ლარის ღირებულების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწესრიგად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის (საჭიროების შემთხვევაში ევთანაზიისა და ცხოველთა სამარხში გადაყვანის) მომსახურების შესყიდვა ტენდერის მეშვეობით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 13 აპრილს დადებული №83 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 71500 (სამოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარის ღირებულების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მარკის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 13 აგვისტოს დადებული №146 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 183000 (ას ოთხმოცდასამი ათასი) ლარის ღირებულების ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა ტენდერის მეშვეობით;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 27 ივლისს დადებული №140 ხელშეკრულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 3958.98 (სამი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი ლარი და 98 თეთრი) ლარის ღირებულების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 15 (თხუთმეტი) ერთეული ავტომანქანის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა ტენდერის მეშვეობით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა ტენდერის

მეშვეობით. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 21 ავტომანქანის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, გაყიდვის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 11190,50 (თერთმეტი ათას ას ოთხმოცდაათი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

2018 წლის 05 ივნისს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-სა (შემდგომში „მიმზარებელი“) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში „შემნახველი“) შორის დაიდო მიზარების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „შემნახველი“ კისრულობს ვალდებულებას უსასყიდლოდ შეინახოს „მიმზარებლის“ მიერ მისთვის მიზარებული შემდეგი მოძრავი ნივთები: – 1100 ლ მოცულობის პლასტმასის 150 ც ნაგავშემკრები კონტეინერი.

სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა ავტომანქანა: Toyota Land Cruiser Prado, LC 150, სახ. ნომერი VWW-127, საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBU3FJ50K043134.

მომზადდა ხელშეკრულებები შემდეგი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით:

1. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრს“ უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, „უზუფრუქტუარის“ არსებობის ვადით გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქუჩა №80-ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1696.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.15.16.288) და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობა (გარდა №1 შენობის სარდაფში არსებული 129.05 კვ.მ ფართისა, რომელიც იჯარით გადაცემული აქვს ი/მ „ვახტანგ ჯოჯუას“).

2. ააიპ „მეგობრობის ცენტრს“ უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, „უზუფრუქტუარის“ არსებობის ვადით გადაეცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქუჩა №73ა-ში მდებარე, ს/კ №81.15.13.316, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 5382.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, (გარდა 51.94 კვ.მ ფართისა, რომელიც უზუფრუქტით გადაცემული აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატს).

3. ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საადმინისტრაციო დაწესებულება“-ს უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, „უზუფრუქტუარის“ არსებობის ვადით გადაეცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბაგა-ბაღების შენობები.

4. ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქს“ თხოვების ფორმით უსასყიდლოდ, „მონათხოვრის“ არსებობის ვადით გადაეცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ორი ერთეული, სპეციალიზებული ავტომანქანა „ნავაგმზიდი“ შემდეგი მონაცემებით: 1. მარკა MAN, მოდელი CLA 31.280, ტიპი „სპეციალიზებული“, საიდენტიფიკაციო #NS2MC6ZZ2HJ005833, გამოშვების წელი 2018, რეგ.ნომერი VV128OV; 2. მარკა MAN, მოდელი CLA 31.280, ტიპი „სპეციალიზებული“; საიდენტიფიკაციო # NS2MC6ZZOHJ005832; გამოშვების წელი 2018. რეგ. ნომერი VV129OV.

5. შპს „გარდაბანგანათების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურს“ თხოვების ფორმით უსასყიდლოდ, „მონათხოვრის“ არსებობის ვადით გადაეცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: 1 (ერთი) ერთეული ექსკავატორი შემდეგი მონაცემებით: მარკა MST, მოდელი M 544, ტიპი „ექსკავატორი“, საიდენტიფიკაციო #M544SU2102937, გამოშვების წელი 2018, რეგ.ნომერი SS733B.

2018 წელს 25 მოქალაქეზე გაიცა საცხოვრებელი ბინების საკუთრების მოწმობა.

შ ი დ ა ა უ დ ი ტ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების სამწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გრძელვადიან

ხედვას, შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დამტკიცებულ იქნა 2018 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს აუდიტორული შემოწმება განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 3 ა(ა)იპ-ში. ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრ“-ი; ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრ“-სა და ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქ“-ში.

აუდიტორული შემოწმების პარალელურად შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებდა 2017 წელს მერიის სტრუქტურულ ერთეულებში (სამსახურებში) და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩატარებული აუდიტის მონიტორინგს, რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და რაზეც შედგენილ იქნა შესაბამისი ანგარიში.

გარდა აუდიტორული შემოწმებისა, აუდიტის სამსახურის მიერ სისტემატურად მიმდინარეობს დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი იმ შესაძლო გადაცდომებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გახდეს სამსახურებრივი შემოწმების და დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა 2 (ორი) ასეთი გადაცდომა, რაზეც დაწყებულ იქნა დისციპლინური წარმოება, რომლის მასალებიც შესაბამის დასკვნებთან ერთად შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან. 4 შემთხვევაზე, რომელიც შეიცავდა გადაცდომის ნიშნებს, ჩატარებულ იქნა სამსახურებრივი მოკვლევა, თუმცა არ გამოიკვეთა დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი და მოხდა მათი ჩამოწერა.

ამ ეტაპზე შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებულია 6 საჯარო მოხელე: 1 სამსახურის უფროსი, 3 შიდა აუდიტორი და 2 ინსპექტორი. შიდა აუდიტის სამსახურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე თანამშრომელთა მცირე რესურსიდან და მომზადების დონიდან გამომდინარე ვერ ხერხდება იმ რაოდენობის ობიექტების შემოწმება, რაც უზრუნველყოფდა დამფუძნებლისთვის ინფორმაციისა და ანგარიშგებების სათანადო ვადებში და ხარისხით მიღებას. მიუხედავად კადრების მცირე რესურსისა და მათი მომზადების დონისა, შიდა აუდიტის სამსახურმა სრულად მოიცვა 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ობიექტების შემოწმება და შეადგინა 2017 წელს ჩატარებული აუდიტის მონიტორინგის ანგარიში. აგრეთვე, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც შიდა აუდიტის სამსახური გააგრძელებს მუშაობას მომავალი წლიდან.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის დადგენილება N247 საფუძველზე, 2017 წლის 4 იანვრიდან მიმდინარეობდა 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. სკოლებიდან და წარმოება-დაწესებულებიდან გამოთხოვილი მონაცემებით:

- ასაყვანი იყო 353 (დამატებით გამოვლინდა 43) ჭაბუკი;
- აყვანილ იქნა 396 ჭაბუკი;

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის დადგენილება N36 საფუძველზე, განხორციელდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა (2018 წლის 26 იანვრიდან - 2017 წლის 30 ივნისამდე).

- გეგმა-დავალება შეადგენდა 78 წვევამდელს;
- გამოძახებულ იქნა გამწვევ უბანზე 801 წვევამდელი;
- ადგილზე გამოცხადდა 632 წვევამდელი;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 64 წვევამდელი;
 - 479 წვევამდელს სხვადასხვა მიზეზის გამო კანონის შესაბამისად მიეცა გადავადება;
 - გადავადების მოსაკრებელი გადაიხადა 6-მა წვევამდელმა;
 - სასამართლოს მასალები 163 წვევამდელის შესახებ გადაეცა.

საქართველოს მთავრობის 2018 8 აგვისტოს დადგენილება N408 საფუძველზე, განხორციელდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა (დამთავრდა 2018 წლის 29 დეკემბერს).

- გეგმა-დავალება შეადგენდა 78 წვევამდელს;
- გამწვევ უბანზე გამოძახებულ იქნა 420 წვევამდელი;
- გამოცხადდა 420 წვევამდელი;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 60 წვევამდელი;
- 360წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზის გამო;
- გადაიხადა გადავადების მოსაკრებელი 6 წვევამდელმა;
- გადაეცა მასალები სასამართლოს 74 წვევამდელზე;

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 21-მუხლის მე-3 პუნქტით:

- რეზერვში ჩაირიცხა 300 წვევამდელი;
- კანონის შესაბამისად, სამხედრო-სავალდებულო სამსახურგავლილი 165 წვევამდელი რეზერვში ჩაირიცხა.

ადმინისტრაციული სამსახური

ჩატარდა 38 ღია კონკურსი. აღნიშნულ კონკურსებში სულ გადარჩეულ იქნა 507 განაცხადი

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ იქნა 3898 (სამი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოცემულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ამავე რაოდენობის ბრძანება.
- შემუშავებულ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის - დადგენილების 54 (ორმოცდათოთხმეტი) პროექტი, დამტკიცებულია ამდენივე დადგენილება.
- 2018 წლის განმავლობაში, იურიდიული განყოფილების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად ხდებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის ისე მოსახლეობისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.
- ინფორმაციის გაშუქება ძირითადად ოფიციალურ ვებგვერდზე Gardabani.gov.ge-ზე, ასევე მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე „გარდაბნის მუნიციპალიტეტი/Municipality of Gardabani“ ხორციელდებოდა.
- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდა რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოსთან, რომლებმაც უზრუნველყვეს ინფორმაციების, პრესრელიზებისა და ფოტოების საფუძველზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის გაცნობა.
- 2018 წელს ვებ-გვერდზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განთავსდა:
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიმდინარე, განხორციელებული და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციები, მათ შორის მუნიციპალიტეტში „საუკუნის პროექტად“ წოდებული ხუთი სოფლის სასმელი წყლით 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტი.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას ყოველდღიურად აწვდიდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების, დაგეგმილი პროექტებისა თუ პრობლემების შესახებ, რომელიც ოფიციალური ელექტრონული ფოსტით prdep@gardabani.gov.ge –ს საშუალებით იგზავნებოდა.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს ცხელი ხაზი, რომლის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, კერძო, იურიდიული თუ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის.
- ადმინისტრაციული ერთეულებიდან ყოველდღიურად მიღებული ინფორმაცია
- სისტემატიზაციისა და დამუშავების შემდგომ იგზავნებოდა სხვადასხვა უწყებებში.
- მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება ყველა (ცხრამეტი) ადმინისტრაციული
- ერთეულის შემოწმება/მონიტორინგი.
- წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილება უზრუნველყოფდა მოსახლეობის კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტატისტიკური ბაზის მომზადება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვფლობდეთ ყველა საჭირო ინფორმაციას თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ.
- ადმინისტრაციულმა სამსახურმა განახორციელა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

2018 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ზედამხედველობის სამსახურში ელექტრონულად სულ შემოსულია 730-წერილი, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება და პასუხი გაეცა 590 წერილს, 3 წერილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ხელზე შემოსულია 25 წერილი ხოლო დარჩენილი 137 წერილი მიღებულია ცნობის სახით კერძოდ: სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურიდან გადმოგზავნილია პროექტები სახელმძღვანელოდ. მოსაკრებლებისა და ინსპექტირების განყოფილებას დაეწერა 680-წერილი, რაზედაც მოხდა შესაბამისი, რეაგირება და პასუხი გაეცა 543; 50 წერილი დაეწერა ტექნიკურ განყოფილებას, რაზედაც 24 -წერილს გაეცა პასუხი, ხოლო დანარჩენი 26- წერილი ტექნიკურ განყოფილებას მიღებული აქვს ცნობის სახით.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობის დარღვევის 57 შემთხვევა, ის მოქალაქეები და ორგანიზაციები, რომლებსაც ეკისრებოდათ ფულადი სანქციები, დაჯარიმებულნი იქნენ კანონის შესაბამისად და ბიუჯეტში შეტანილი იქნა სულ 19800 (ცხრამეტი ათას რვაასი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის ტექნიკური განყოფილება ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ (50 0000 ლარზე ნაკლებ ღირებულებებს) პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ხოლო 50 0000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე, სულ შემოსულია 5- წერილი, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება და პასუხი გაეცა 5 -ვე, წერილს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურიდან შემოსულია 5 წერილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და ხარჯთაღრიცხვები;

ზედამხედველობის სამსახურის მოსაკრებლებისა და ინსპექტირების განყოფილება კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „გარდაბანგანათების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს, შ.პ.ს. „გარდაბნის სატრანსპორტო კომპანია“-ს და ა.ა.ი.პ.-ების საქმიანობას. ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს მოსაკრებლების გადამხდელთა რეგისტრაციას და ბაზის შექმნას. დღეს-დროებით დარეგისტრირებულია 178 ობიექტი, 2018 წელს დასუფთავების მოსაკრებლების თანხა შეადგინა 25,740 ლარი 29თ. ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ობიექტების აღრიცხვა და რეესტრის შექმნა.

განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური

- 8 თებერვალს სამსახურის ორგანიზებითა და დაფინანსებით ქ. გარდაბნის N3 საჯაროგარდაბნისმუნიციპალიტეტის 2018 წლის ეტალონი მოსწავლე, რომელიც სოფელ სართიჭალის N2 საჯაროსკოლის მოსწავლე გიორგი გენგაშვილი გახდა. მას გადაეცა შ.პ.ს „ბიბლუსის“ სასაჩუქრებარათი. მან მონაწილეობა მიიღო საფინანსო კონკურსში.
- 20-21 მარტს გაიმართა აზერბაიჯანელი ერის სახალხო-რელიგიური დღესასწაული „ნოვრუზ-ბაირამი“, რომლის ფარგლებშიც სადღესასწაულოდ გაფორმდა ქალაქის ცენტრალური ქუჩა. ქ.გარდაბნის მეგობრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ქ. გარდაბნის კულტურისა დადასვენების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული დასპორტული ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ასევემოწვეულმა შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმაც. ღონისძიებას ჰყავდა ორი ცნობილი წამყვანი.
- 21 მარტს სამსახურმა უმასპინძლა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებით უზრუნველყოჰიდადარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული დრამატული თეატრს -სპექტაკლის „უჩიმაჩინის ქუდის“ საჩვენებლად.
- მარტი-აპრილის თვეებში ჩატარდა საქარველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსინციატივით დაგეგმილი სასკოლო ოლიმპიადა, გამოვლინდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონებიმინი- ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონსა დაგეზრბენში.
- 13 აპრილს ჩატარდა „ადდგომის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიება, რომლისფარგლებშიც ქ. გარდაბნის თბილ-სრესის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართასადღესასწაულო კონცერტი მოწვეული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებისა და ცნობადი ჯგუფისმონაწილეობით. ამავე ტერიტორიაზე მოხდა სამუზეუმო ექსპონატების, შშმ პირთანამუშევრების, ხალხური რეწვის ოსტატებისა და ნორჩ-ხელმარჯვეთა ხელნაკეთი ნივთებისგამოფენა-დათვალიერება. აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ამავე ტერიტორიაზესაქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი „ფოტოგამოფენა საგანპური“, რომელიც მიზნად ისახავდაეროვნული სამუზეუმო კულტურული მემკვიდრეობის საყოველთაო ცნობადობისა დახელმისაწვდომობის ხელშეწყობას. აღნიშნული ფოტო-გამოფენა ქ. გარდაბნის კულტურისსახლში ორი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა დამთვალიერებელს.
- 22 აპრილს სოფ. მარტყოფში, აპარნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარეტერიტორიაზე გაიმართა სახალხო -რელიგიური დღესასწაული „აპარნობა“ ,

რომელიც აღინიშნება ყოველწლიურად, აღდგომიდან 2 კვირაში. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები. ღონისძიებებში გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

- 17 მაისს სოფ. თელეთში გაიმართა სახალხო დღესასწაული „თელეთობა“, რომლის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება. ღონისძიებებში გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.
- 25 მაისს ქ. გარდაბნის კულტურის სახლში მოეწყო შ.პ.ს „დაკარგული ლეგენდების“ მიერ შექმნილი ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ კინოჩვენება.
- 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოხდა ქ. გარდაბნის ცენტრალური ქუჩის საზეიმოდ გაფორმება. ქ. გარდაბნის კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიება. მასში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტში არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა, ასევე მხატვრულმა კოლექტივებმა და სოლო შემსრულებლებმა. სპორტულ შეჯიბრებებში დაჯილდოვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.
- 27 მაისს სამსახურმა ორგანიზება გაუწია ა.ა.ი.პ სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრის მოსწავლეების ახალციხეში ტრანსპორტირებას ფესტივალ - კონცერტში სახელწოდებით „საქართველოს მარგალიტები“, რომელშიც მათ მიიღეს მონაწილეობა.
- 27 მაისს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ლევან დევდარიანის სახელობის ტურნირი ფრენბურთში მოყვარულთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები, მედლები და ფასიანი საჩუქრები.
- 31-1 ივნისს ა.ა.ი.პ „ანიმაციის განვითარების ფონდის“ ინიციატივითა და სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ანიმაციის გმირებთან ერთად ქუჩის თეატრალიზებული მსვლელობა (ე.წ. ბარაბან-შოუ), გაიმართა ასევე წამახალისებელი ვიქტორინა თემაზე: „ქართული ანიმაციის ისტორია“, რომელში გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ ქართული ანიმაციის DVD დისკებით, გაიმართა „თოფუზის“ საუკეთესო უცხოური და ქართული ანიმაციური ფილმების ჩვენება, რომლებიც თავად ავტორებმა წარადგინეს, ფესტივალის მეორე დღეს მოეწყო ვორქშოპი სახელწოდებით: „ანიმაცია ურთიერთობის მხატვრული ფორმა“, რომლის ფარგლებშიც მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებულმა მოზარდებმა შექმნეს კადრიერა, დაიხატა პერსონაჟები და ფონები, შეიქმნა 1 წუთიანი ანიმაციური ფილმი.
- 1 ივნისს სტარტი აიღო დასექტემბრის თვემდე გაგრძელდა ახალგაზრდული პროექტი „შემოიარე საქართველო“, რომლის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა სრულიად უფასოდ მონაწილეობა მიიღეს ექსკურსია-ლაშქრობებში. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მონახულება-გაცნობას. ასევე დასვენებას, გართობას, ახალი მეგობრების შექმნას.
- 2-3 ივნისს სამსახურმა ორგანიზება გაუწია ა.ა.ი.პ სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრის მოსწავლეების საირმეში ტრანსპორტირებას მრავალჟანრობრივ რესპუბლიკურ ფესტივალში სახელწოდებით „საირმე 2018“. აღნიშნულ ფესტივალში მოსწავლეებმა მონაწილეობის მიიღეს.
- 15-16-17 ივნისს სამსახურმა ორგანიზება გაუწია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ კულტურის ცენტრთან არსებული სოფ. ახალსოფლის ქორეოგრაფიული ანსამბლის

„კოლხიდას“ სვანეთში ტრანსპორტირებას ქორეოგრაფიულ ფესტივალში დასასწრებად და მონაწილეობის მიღების მიზნით.

- 8 აგვისტოს სოფ. კუმისში სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 8 აგვისტოს ომში დაღუპული ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში .
- 29 აგვისტოს სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სახალხო -რელიგიური დღესასწაული „ღვთაებობა“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება.
- 13 სექტემბერს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა „ახალგაზრდული ფესტივალი 2018“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა დეკორაციით გაფორმდა ქ. გარდაბნის კულტურისა და დასვენების პარკი, გაიმართა სახალისო შეჯიბრებები, ფერების ფესტივალი და სადღესასწაულო კონცერტი. ღონისძიება დასრულდა საზეიმო ფოიერვერკით.
- 16 სექტემბერს სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა „ჩექინ ჯორჯიას“ ფარგლებში დაგეგმილი სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტი სახელწოდებით „ქართული საგანძური“.
- 21 სექტემბერს პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა სახის აქტივობება.
- 22 სექტემბერს სოფ. კრწანისში გაიმართა სახალხო დღესასწაული „კრწანისობა“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით.
- 29 სექტემბერს სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინეია“-ს პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ასურელი მოღვაწის ფრეიდუნ ათურაიას ხსენების საღამო და მისი ცხოვრების შესახებ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია.
- 28 სექტემბერს სამსახურის ორგანიზებით „ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ აღსანიშნავად ა. (ა) ი. პ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ევროპელები საქართველოს შესახებ“.
- სექტემბერში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით დაგეგმილ „ევროპის სპორტის კვირეულთან“ დაკავშირებით სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.
- 21 ოქტომბერს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ყოველწლიური სახალხო დღესასწაული „გარდაბნობა 2018“, რომლის ფარგლებშიც ქ. გარდაბანში, კერძოდ თბილ- სრესის მოედნისა და 9 აპრილის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება. სპეციალურად დამონტაჟებულ 2 სცენაზე საზეიმო ღონისძიებებში საკონცერტო ნომრებით მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ანსამბლებმა და შემსრულებლებმა, ასევე მოწვეულმა შოუ-ბიზნესის ცნობილმა მომღერლებმა. ღონისძიება დატვირთული იყო საგამოფენო სივრცეებით, რომელიც წარმოადგინეს ადგილობრივმა მხატვრებმა, ხელოვანებმა და ხალხური რეწვის ოსტატებმა. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკიანი სუვენირებით „ორგმინებით“ დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის 23 ოქროსმედალოსანი, დასახელდა გარდაბნის საპატიო 6 მოქალაქე, რომელთაც გადაეცათ სპეციალურად მათთვის დამზადებული ყუთში ჩადებული მედალი წარწერით: „გარდაბნის საპატიო მოქალაქე“. ღონისძიება დაასრულა რეგის, პოპ- და ფოლკ-როკის ჟანრის მუსიკის

შემსრულებელმა ცნობილმა ჯგუფმა 33 ა-მ და ნიაზ დიასამიძემ, რომელიც საათნახევრიანი პროგრამით წარსდგა მაცურებლის წინაშე. ღონისძიება დასრულდა საზეიმო ფოიერვერკით.

- დეკემბრის თვეში შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი.
- დეკემბრის თვეში ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით სამსახურის ორგანიზებით შეძენილ იქნა საახალწლო განათებები და ილუმინაციები. განხორციელდა საახალწლო განათებების მონტაჟი და დემონტაჟი.
- 28 დეკემბერს ქ. გარდაბნის კულტურის სახლში გაიმართა საახალწლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, მხატვრულმა კოლექტივებმა და სოლო შემსრულებლებმა, ასევე მოწვეულმა „კომედი ჯგუფისა“ და „იუმორინას“ ახალგაზრდა მსახიობებმა. საახალწლო ღონისძიება დასრულდა სადღესასწაულო ფოიერვერკით.